# BAG
# ინდექსი

საქართველოს ბიზნეს ასოციაცია
BUSINESS ASSOCIATION OF GEORGIA

ifo INSTITUTE
Leibniz Institute for Economic Research
at the University of Munich

MPG Research

III კვარტალი 2024

# BAG ინდექსი

ბიზნეს
კლიმატი

დასაქმების
ბარომეტრი

ინვესტიციების
კვლევა

III კვარტალი
2024

# სარჩევი

**BAG** ინდექსი ..... 1

**BAG** ბიზნეს კლიმატი ..... 1

**BAG** ბიზნეს კლიმატი სექტორების მიხედვით ..... 3

დასაქმება, გაყიდვები და გაყიდვების ფასები სექტორების მიხედვით ..... 5

ბიზნესსაქმიანობისთვის ხელის შემშლელი ფაქტორები ..... 8

დაფინანსება ..... 13

მოლოდინი გაცვლითი კურსის შესახებ ..... 15

**BAG** დასაქმების ბარომეტრი ..... 16

**BAG** ინვესტიციების კვლევა ..... 20

# BAG ინდექსი

*მომზადებულია პი ემ სი კვლევითი ცენტრის და ifo institute-ის მიერ*

საქართველოს ბიზნეს ასოციაციის (BAG) ინდექსი საქართველოს ბიზნეს ასოციაციის, პიემსი კვლევითი ცენტრისა და ifo ეკონომიკური კვლევების ინსტიტუტის ერთობლივი პროდუქტია. BAG ინდექსი მოიცავს BAG-ის წევრებისა და მათ ჯგუფში შემავალი კომპანიების[1] მმართველი მენეჯერების შეფასებას BAG ბიზნეს კლიმატის, BAG დასაქმების ბარომეტრის და BAG საინვესტიციო გარემოს შესახებ. პიემსი კვლევითი ცენტრი BAG ინდექსს აქვეყნებს ყოველკვარტალურად.

# BAG ბიზნეს კლიმატი

BAG ბიზნეს კლიმატის მაჩვენებელი გამოითვლება BAG-ის წევრებისა და მათ ჯგუფში შემავალი კომპანიების გამოკითხვის საფუძველზე. კითხვარის მეშვეობით კომპანიები აფასებენ თავიანთ მიმდინარე მდგომარეობას და მომდევნო ექვსი თვის მოლოდინს[2]. კომპანიები, ასევე, აფასებენ გაყიდვების, გაყიდვების ფასების, დასაქმებულთა რაოდენობის და დასაქმებულთა ანაზღაურების ცვლილებას გასულ და მიმდინარე კვარტლებში და აფიქსირებენ მოლოდინს მომდევნო კვარტლისთვის. დამატებით, კომპანიები ასახელებენ თავიანთი ბიზნესსაქმიანობისთვის ხელის შემშლელ ფაქტორებს, აფიქსირებენ გაცვლითი კურსის შესახებ არსებულ მოლოდინს, აფასებენ ფინანსებზე ხელმისაწვდომობას და საინვესტიციო გარემოს. აღნიშნული ინდექსის ფარგლებში, BAG-ის წევრები და მათ ჯგუფში შემავალი კომპანიები გადანაწილდა ოთხ სექტორში: ვაჭრობა, მომსახურება, მრეწველობა და მშენებლობა. 2024 წლის მესამე კვარტლის გამოკითხვა ჩატარდა 2024 წლის 16 აგვისტო - 5 სექტემბრის პერიოდში.

**2024 წლის III კვარტალში, გამოკითხულმა კომპანიებმა თავიანთი მიმდინარე მდგომარეობა და მომდევნო ექვსი თვის მოლოდინი დადებითად შეაფასეს. 2024 წლის III კვარტალში, BAG ბიზნეს კლიმატის მაჩვენებელმა 44.8 ქულა შეადგინა, მათ შორის, ბიზნესის მიმდინარე მდგომარეობის მაჩვენებელი 39.3, ხოლო ბიზნესის მოლოდინის მაჩვენებელი 50.5 ქულაა.**

2024 წლის III კვარტალში, 2024 წლის II კვარტალთან შედარებით, BAG ბიზნეს კლიმატი 19.3 ქულით გაუმჯობესდა. აღნიშნულ პერიოდში, გამოკითხული კომპანიების მიერ მიმდინარე მდგომარეობის შეფასება 10.4 ქულით, ხოლო მომდევნო 6 თვის მოლოდინის მაჩვენებელი 28.3 ქულით გაუმჯობესდა.

2024 წლის III კვარტლის სამივე შედეგი მცირედით გაუარესებულია 2023 წლის III კვარტალთან შედარებით, როდესაც BAG ბიზნეს კლიმატის მაჩვენებელი 48.5-ს, მიმდინარე მდგომარეობის შეფასება 43.6-ს, ხოლო მომდევნო 6 თვის მოლოდინის ქულა 53.5-ს შეადგენდა (იხილეთ გრაფიკი 1).

---

[1] 2021 წლის I კვარტალში BAG ინდექსის მეთოდოლოგიაში განხორციელდა ცვლილება, კერძოდ გაიზარდა გამოსაკითხი კომპანიების რაოდენობა: გამოსაკითხ კომპანიათა ბაზას დაემატა BAG-ის წევრების ჯგუფში შემავალი კომპანიები.

[2] საბალანსო მნიშვნელობა მიმდინარე მდგომარეობისთვის არის სხვაობა „კარგი" და „ცუდი" შეფასებების პროცენტულ წილებს შორის, ხოლო საბალანსო მნიშვნელობა მომდევნო ექვსი თვის მოლოდინისათვის არის სხვაობა „უფრო ხელსაყრელი" და „ნაკლებად ხელსაყრელი" შეფასებების პროცენტულ წილებს შორის. BAG ბიზნეს კლიმატის მაჩვენებელი წარმოადგენს ბიზნესის მიმდინარე მდგომარეობისა და მომდევნო ექვსი თვის მოლოდინის საბალანსო მნიშვნელობების ტრანსფორმირებულ საშუალოს. BAG ბიზნეს კლიმატის მაჩვენებელი შესაძლოა იყოს -100-სა და +100-ს შორის. +100 ნიშნავს, რომ ყველა გამოკითხული ბიზნესი მიმდინარე მდგომარეობას და მოლოდინს აფასებს დადებითად, ხოლო -100 ნიშნავს, რომ ყველა გამოკითხული ბიზნესი მიმდინარე მდგომარეობას და მოლოდინს აფასებს უარყოფითად.










**გრაფიკი 1:** BAG ბიზნეს კლიმატი, ბიზნესის მოლოდინი და ბიზნესის მიმდინარე მდგომარეობა

2024 წლის III კვარტალში, 2024 წლის II კვარტლის მსგავსად, BAG ბიზნეს კლიმატის მაჩვენებელი **ბუმის** ფაზაში იმყოფება.




**გრაფიკი 2:** BAG ბიზნეს კლიმატი[3]

## BAG ბიზნეს კლიმატი სექტორების მიხედვით

2024 წლის III კვარტალში **ბიზნეს კლიმატის მაჩვენებელი** ყველა სექტორში დადებითია და 2024 წლის II კვარტალთან შედარებით, ყველა სექტორში გაუმჯობესდა (იხილეთ გრაფიკი 3).

2024 წლის III კვარტალში, 2024 წლის II კვარტალთან შედარებით, **ბიზნესის მიმდინარე მდგომარეობის** შეფასება მომსახურების სექტორში გაუმჯობესდა 12.8 ქულით, ვაჭრობის სექტორში 11.4 ქულით, მშენებლობის სექტორში 7.6 ქულით, ხოლო მრეწველობის სექტორში 3.6 ქულით. რაც შეეხება **ბიზნესის მომდევნო ექვსი თვის მოლოდინს**, მოლოდინების შეფასება გაუმჯობესდა ვაჭრობის სექტორში 45.4 ქულით, მშენებლობის სექტორში 33.6 ქულით, მომსახურების სექტორში 20.1 ქულით, ხოლო მრეწველობის სექტორში 9.2 ქულით.

აღსანიშნავია, რომ 2024 წლის III კვარტალში ბიზნესის მიმდინარე მდგომარეობის ყველაზე მაღალი შეფასება მომსახურების სექტორში დაფიქსირდა, ხოლო ყველაზე დაბალი მრეწველობის სექტორში. ამასთანავე, სექტორებს შორის, ყველაზე პოზიტიური ბიზნესის მოლოდინი მშენებლობის სექტორში დაფიქსირდა, ხოლო ყველაზე ნაკლებად პოზიტიური მრეწველობის სექტორში (იხილეთ ცხრილი 1).

[3] გრაფიკი 2 საკოორდინატო სიბრტყეზე ასახავს დამოკიდებულებას ბიზნესის მიმდინარე მდგომარეობასა და ბიზნესის მომდევნო ექვსი თვის მოლოდინს შორის. თუკი ბიზნესები მიმდინარე მგომარეობას აფასებენ უარყოფითად, ხოლო ექვსი თვის მოლოდინს დადებითად, კლიმატის მაჩვენებელი ხვდება „აღმასვლის“ მეოთხედში. თუკი მიმდინარე მდგომარეობა და მოლოდინი დადებითად ფასდება, მაჩვენებელი „ბუმის“ მეოთხედში ხვდება. იმ შემთხვევაში, თუ მიმდინარე მდგომარეობა დადებითადაა შეფასებული, ხოლო მოლოდინი უარყოფითად, კლიმატის მაჩვენებელი ხვდება „დაღმასვლის“ მეოთხედში. ხოლო, თუ მიმიდნარე მდგომარეობაც და მოლოდინიც უარყოფითადაა შეფასებული, მაჩვენებელი „რეცესიის“ მეოთხედში ხვდება.

**ცხრილი 1:** საბალანსო მნიშვნელობები სექტორების მიხედვით 2024 წლის II კვარტალში

| სექტორი | ბიზნეს კლიმატი | ბიზნესის მიმდინარე მდგომარეობა | ბიზნესის მოლოდინი |
|---|---|---|---|
| ვაჭრობის სექტორი | 42.3 | 36.4 | 48.5 |
| მომსახურების სექტორი | 47.5 | 43.9 | 51.2 |
| მრეწველობის სექტორი | 37.4 | 28.6 | 46.7 |
| მშენებლობის სექტორი | 49.9 | 42.9 | 57.1 |
| ყველა სექტორი | 44.8 | 39.3 | 50.5 |




**გრაფიკი 3:** ბიზნეს კლიმატი სექტორების მიხედვით 2024 წლის II და 2024 წლის III კვარტლებში

2024 წლის III კვარტალში, 2023 წლის III კვარტალთან შედარებით, ბიზნეს კლიმატის მაჩვენებელი გაუარესებულია ყველა სექტორში, გარდა მომსახურების სექტორისა. კერძოდ, ბიზნეს კლიმატის მაჩვენებელი მშენებლობის სექტორში გაუარესდა 13.1 ქულით, ვაჭრობის სექტორში 12.9 ქულით, მრეწველობის სექტორში 7.1 ქულით. რაც შეეხება მომსახურების სექტორს, ბიზნეს კლიმატის მაჩვენებელი გაუმჯობესდა 7.0 ქულით. აღსანიშნავია, რომ მრეწველობისა და მშენებლობის სექტორებში მაჩვენებლის კლება ძირითადად ბიზნესის მოლოდინების, ხოლო ვაჭრობის სექტორში - ბიზნესის მიმდინარე მდგომარეობის შეფასების გაუარესებას უკავშირდება.

აღსანიშნავია, რომ 2023 წლის I კვარტლის შემდეგ ბიზნესის კლიმატის მაჩვენებელში მშენებლობისა და ვაჭრობის სექტორებში უარყოფითი დინამიკა მხოლოდ 2024 წლის II კვარტლიდან ფიქსირდება, რაც შეეხება მრეწველობის სექტორს, უარყოფითი დინამიკა 2024 წლის I კვარტლიდან ფიქსირდება, ხოლო მომსახურების სექტორში 2023 წლის III კვარტლიდან (იხილეთ გრაფიკი 4).




**გრაფიკი 4:** ბიზნეს კლიმატი, ბიზნესის მოლოდინი და ბიზნესის მიმდინარე მდგომარეობა ვაჭრობის, მომსახურების, მრეწველობის და მშენებლობის სექტორებში

## დასაქმება, გაყიდვები და გაყიდვების ფასები სექტორების მიხედვით

### დასაქმება

- 2024 წლის III კვარტალში, გამოკითხულ კომპანიათა 40%-მა განაცხადა, რომ მათთან დასაქმებულთა რაოდენობა იზრდება. რაც შეეხება 2024 წლის IV კვარტლის მოლოდინს, გამოკითხული კომპანიების 34% ელის დასაქმებულთა რაოდენობის ზრდას (იხილეთ გრაფიკი 5), თუმცა 61% არ აპირებს დასაქმებულთა რაოდენობის შეცვლას.
- სექტორებს შორის, 2024 წლის III კვარტლის მდგომარეობით დასაქმებულთა რაოდენობის ზრდა ყველაზე მეტად მშენებლობის სექტორში ფიქსირდება. რაც შეეხება 2024 წლის IV კვარტლის მოლოდინს დასაქმებულთა რაოდენობის ზრდის შესახებ, ყველაზე პოზიტიური შეფასებით აქაც მშენებლობის სექტორი გამოირჩევა (იხილეთ გრაფიკი 6).




**გრაფიკი 5:** დასაქმებულთა რაოდენობა BAG-ის წევრ და მათ ჯგუფში შემავალ კომპანიებში[4]




**გრაფიკი 6:** დასაქმებულთა რაოდენობა ვაჭრობის, მომსახურების, მრეწველობის და მშენებლობის სექტორებში

## გაყიდვები/მოთხოვნა/ადგილობრივი წარმოება

- გაყიდვების მხრივ, სექტორებს შორის, 2024 წლის III კვარტლის მდგომარეობას ყველაზე პოზიტიურად მომსახურების სექტორში აფასებენ, თუმცა მათი 23% თვლის რომ გაყიდვები შემცირდება IV კვარტალში. 2024 წლის IV კვარტლისთვის ყველაზე პოზიტიური მოლოდინი კი - ვაჭრობის სექტორში ფიქსირდება (იხილეთ გრაფიკი 7).
- აღსანიშნავია, რომ მშენებლობის სექტორში 2024 წლის III კვარტალში კომპანიათა 71%-ში არ შეცვლილა გაყიდვების რაოდენობა, თუმცა 2024 წლის IV კვარტლისთვის კომპანიათა 57% მოელის, რომ მათი გაყიდვების რაოდენობა გაიზრდება.

---

4 დამრგვალების გამო ანგარიშში მოცემულ ზოგიერთ გრაფიკზე მონაცემთა ჯამი ზუსტად 100%-ის ტოლი არ არის.

* მოლოდინი.




**გრაფიკი 7:** გაყიდვები, ადგილობრივი წარმოება და მოთხოვნა ვაჭრობის, მომსახურების, მრეწველობის და მშენებლობის სექტორებში

## გაყიდვების ფასები

- 2024 წლის III კვარტალში გამოკითხული კომპანიების 21%-მა გაზარდა გაყიდვების ფასები. რაც შეეხება 2024 წლის IV კვარტლის მოლოდინს, გამოკითხულ კომპანიათა 17% ვარაუდობს გაყიდვების ფასების ზრდას (იხილეთ გრაფიკი 8).
- სექტორებს შორის, 2024 წლის III კვარტალში, ფასების ზრდას პროცენტულად ყველაზე მეტი კომპანია მშენებლობის სექტორში აფიქსირებს. ამას გარდა, 2024 წლის IV კვარტალში ფასების ზრდის მოლოდინიც ყველაზე მეტად მშენებლობის სექტორში ფიქსირდება, სხვა სექტორებში კი კომპანიათა 75% ან მეტი არ აპირებს გაყიდვების ფასების ზრდას (იხილეთ გრაფიკი 9).
- ფასების ზრდის დინამიკა ყველაზე ნაკლებად მრეწველობის სექტორში შეინიშნება, ვინაიდან არცერთ გამოკითხულ კომპანიას ფასები 2024 წლის III კვარტალში არ გაუზრდია.




**გრაფიკი 8:** გაყიდვების ფასები BAG-ის წევრ და მათ ჯგუფში შემავალ კომპანიებში




**გრაფიკი 9:** გაყიდვების ფასები ვაჭრობის, მომსახურების, მრეწველობის და მშენებლობის სექტორებში

## ბიზნესსაქმიანობისთვის ხელის შემშლელი ფაქტორები

2024 წლის III კვარტალში, 2024 წლის II კვარტალთან შედარებით, შემცირდა იმ კომპანიების წილი (19 პროცენტული პუნქტით), რომლებიც თვლიან, რომ მათი ბიზნესსაქმიანობისთვის არსებობს ხელის შემშლელი ფაქტორები.




**გრაფიკი 10:** ბიზნესისთვის ხელის შემშლელი ფაქტორების არსებობა

2024 წლის III კვარტალში, ბიზნესსაქმიანობისთვის ყველაზე მნიშვნელოვანი ხელის შემშლელი ხუთი ფაქტორია: სპეციალისტების ნაკლებობა, სამუშაო ძალის ნაკლებობა, სამართლებრივი და ადმინისტრაციული ბარიერები, ეროვნული ვალუტის გაცვლითი კურსის არასტაბილურობა[5] და შეზღუდული ფინანსური რესურსები (იხილეთ გრაფიკი 11).

[5] ეროვნული ვალუტის გაცვლითი კურსის არასტაბილურობა, როგორც ერთერთი ხელის შემშლელი ფაქტორი ბიზნესისთვის, ბიზნესსაქმიანობისთვის ხელის შემშლელი ფაქტორების შესახებ არსებულ კითხვარს 2021 წლის IV კვარტალში დაემატა.




**გრაფიკი 11:** ძირითადი ხელის შემშლელი ფაქტორები გამოკითხული კომპანიებისთვის 2024 წლის III კვარტალში

მოცემულ კვარტალში, პრობლემათა შორის პირველი ადგილი **სპეციალისტების ნაკლებობამ** დაიკავა (აღნიშნულ პრობლემას კომპანიათა 54% ასახელებს ხელის შემშლელად). სექტორებს შორის, სპეციალისტების ნაკლებობა ყველაზე მეტად მრეწველობის სექტორის კომპანიებისთვის (78%) წარმოადგენს ხელის შემშლელ ფაქტორს, ყველაზე ნაკლებად კი ვაჭრობის სექტორისთვის (33%) (იხილეთ გრაფიკი 12). საწარმოს ზომის მიხედვით[6], ყველაზე მეტად საშუალო ზომის კომპანიები ასახელებენ აღნიშნულ ფაქტორს ხელის შემშლელად (33%) (იხილეთ გრაფიკი 13).

2024 წლის III კვარტალში, **სამუშაო ძალის ნაკლებობა** ბიზნესსაქმიანობისთვის ხელის შემშლელ ფაქტორად გამოკითხულ კომპანიათა 42%-მა დაასახელა. სამუშაო ძალის ნაკლებობის პრობლემა ყველაზე მეტად მწვავე მრეწველობის სექტორისთვისაა (56%), ხოლო ყველაზე ნაკლებად - მომსახურების სექტორისთვის (29%). საწარმოთა ზომის მიხედვით, სამუშაო ძალის ნაკლებობა ყველაზე მეტად საშუალო კომპანიებისთვის წარმოადგენს პრობლემას (22%-მა დაასახელა ხელის შემშლელად).

2024 წლის III კვარტალში, **სამართლებრივი და ადმინისტრაციული ბარიერები** ბიზნესსაქმიანობისთვის ხელის შემშლელ ფაქტორად გამოკითხულ კომპანიათა 40%-მა დაასახელა. სექტორებს შორის, აღნიშნული პრობლემა ყველაზე მწვავე მშენებლობის სექტორისთვისაა (50%), ხოლო ყველაზე ნაკლებად - მრეწველობის სექტორისთვის (11%). საწარმოთა ზომის მიხედვით, სამართლებრივი და ადმინისტრაციული ბარიერები ყველაზე მეტად მსხვილი ზომის კომპანიებისთვის წარმოადგენს პრობლემას (24%-მა დაასახელა ხელის შემშლელად).

2024 წლის III კვარტალში, **ეროვნული ვალუტის გაცვლითი კურსის არასტაბილურობა** ბიზნესსაქმიანობისთვის ხელის შემშლელ ფაქტორად გამოკითხულ კომპანიათა 32%-მა დაასახელა. სექტორებს შორის, ეროვნული ვალუტის გაცვლითი კურსის არასტაბილურობა ყველაზე მეტად მშენებლობის და ვაჭრობის სექტორის კომპანიებისთვის (50%) წარმოადგენს ხელის შემშლელ ფაქტორს, ყველაზე ნაკლებად კი მომსახურების სექტორისთვის (19%). საწარმოს ზომის მიხედვით, ეროვნული ვალუტის გაცვლითი კურსის არასტაბილურობა ყველაზე მეტად მცირე ზომის კომპანიებისთვის წარმოადგენს პრობლემას (27%-მა დაასახელა ხელის შემშლელად).

2024 წლის III კვარტალში, **შეზღუდული ფინანსური რესურსები** ხელის შემშლელ ფაქტორად გამოკითხულ კომპანიათა 12%-მა დაასახელა. შეზღუდული ფინანსური რესურსები ხელის შემშლელ ფაქტორს ყველაზე მეტად მშენებლობის სექტორისთვის (50%) წარმოადგენს. საწარმოთა ზომის მიხედვით, შეზღუდული ფინანსური რესურსების პრობლემა ყველაზე მეტად საშუალო ზომის კომპანიებს აქვთ (11%).

საბოლოოდ, 2024 წლის III კვარტალში, სპეციალისტების და სამუშაო ძალის ნაკლებობა ყველაზე მეტად მრეწველობის სექტორს აწუხებს, შეზღუდული ფინანსური რესურსები და სამართლებრივი და ადმინისტრაციული ბარიერები მშენებლობის სექტორს, ეროვნული ვალუტის გაცვლითი კურსის არასტაბილურობა კი მშენებლობისა და ვაჭრობის სექტორებს.

[6] საწარმოს ზომა განისაზღვრა საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მეთოდოლოგიის მიხედვით: მცირე, საშუალო და მსხვილი.




**გრაფიკი 12:** ძირითადი ხელის შემშლელი ფაქტორები გამოკითხული კომპანიებისთვის სექტორების მიხედვით 2024 წლის III კვარტალში




**გრაფიკი 13:** ძირითადი ხელის შემშლელი ფაქტორები გამოკითხული კომპანიებისთვის საწარმოთა ზომის მიხედვით 2024 წლის III კვარტალში

ხელის შემშლელ ფაქტორებს შორის, წინა კვარტალთან შედარებით, ყველაზე მეტად სპეციალისტების ნაკლებობის პრობლემა გამძაფრდა (7 პროცენტული პუნქტით), ხოლო ყველაზე მეტად ეროვნული ვალუტის გაცვლითი კურსის არასტაბილურობის პრობლემა შემსუბუქდა (27 პროცენტული პუნქტით) (იხილეთ გრაფიკი 14).




**გრაფიკი 14:** ძირითადი ხელის შემშლელი ფაქტორები გამოკითხული კომპანიებისთვის

7 ეროვნული ვალუტის გაცვლითი კურსის არასტაბილურობა, როგორც ერთ-ერთი ხელის შემშლელი ფაქტორი ბიზნესისთვის, არსებულ კითხვარს 2021 წლის IV კვარტალში დაემატა.

## ბიზნესისთვის სამართლებრივი და ადმინისტრაციული ბარიერების განმაპირობებელი ძირითადი ფაქტორები

2024 წლის III კვარტალში, იმ კომპანიათა უმეტესობამ, რომლებმაც სამართლებრივი და ადმინისტრაციული ბარიერები დაასახელეს ხელის შემშლელ ფაქტორად, წინა პერიოდების მსგავსად, ***მარეგულირებელი გარემო*** მიიჩნიეს ყველაზე მნიშვნელოვან ხელისშემშლელ ბარიერად. სექტორებს შორის, მარეგულირებელი გარემო ხელის შემშლელ ფაქტორად ყველაზე ხშირად მომსახურების სექტორში (50%) დასახელდა, ხოლო ყველაზე იშვიათად მრეწველობის სექტორში (7%).

სამართლებრივ და ადმინისტრაციულ ბარიერებს შორის, მეორე ადგილს ***ადმინისტრაციული საკითხები*** იკავებს. აღნიშნული ფაქტორი სექტორებს შორის, ხელის შემშლელ ფაქტორად ყველაზე მეტად მომსახურების სექტორში დაფიქსირდა (73%), ხოლო ყველაზე ნაკლებად მრეწველობის სექტორში, ვინაიდან არც ერთ გამოკითხულ კომპანიას აღნიშნული ფაქტორი არ დაუსახელებია ხელის შემშლელად.

რაც შეეხება ***სასამართლო სისტემას***, აღნიშნული ფაქტორი ხელის შემშლელად ყველაზე მეტად მშენებლობის და მომსახურების სექტორში დაფიქსირდა (38%), ხოლო მრეწველობის სექტორში აღნიშნული ფაქტორი ხელის შემშლელად არ მოიაზრება.




**გრაფიკი 15:** ძირითადი ხელის შემშლელი სამართლებრივი და ადმინისტრაციული ბარიერები გამოკითხული კომპანიებისთვის

მთლიანობაში, წინა კვარტალთან შედარებით, გაზრდილია იმ კომპანიათა წილი, რომელიც მარეგულირებელ გარემოსა და ადმინისტრაციულ საკითხებს ასახელებდა ხელის შემშლელად (შესაბამისად 7 და 3 პროცენტული პუნქტით), ხოლო შემცირებულია იმ კომპანიათა წილი, რომელიც სასამართლო სისტემას ასახელებდა ხელის შემშლელად (12 პროცენტული პუნქტით).










**გრაფიკი 16:** ძირითადი ხელის შემშლელი სამართლებრივი და ადმინისტრაციული ბარიერები გამოკითხული კომპანიებისთვის

## დაფინანსება

2024 წლის III კვარტალში, დაფინანსების მოძიება სცადა გამოკითხულ კომპანიათა 44%-მა, რაც წინა კვარტალის მაჩვენებელთან შედარებით არ შეცვლილა (იხილეთ გრაფიკი 17). საწარმოს ზომის მიხედვით, ბიზნესისთვის დაფინანსების მოძიება უფრო მეტად მსხვილმა (48%) და საშუალო (44%) საწარმოებმა სცადეს, შედარებით ნაკლებად კი მცირე (33%) საწარმოებმა.




**გრაფიკი 17:** დაფინანსების მოძიება

2024 წლის III კვარტალში, მათგან, ვინც ბოლო პერიოდში დაფინანსების მოძიება სცადა, 29% აცხადებს, რომ ფინანსებზე წვდომა პრობლემას წარმოადგენს. აღნიშნული მაჩვენებელი წინა კვარტალთან შედარებით 10 პროცენტული პუნქტით გაიზარდა (იხილეთ გრაფიკი 18). ფინანსებზე წვდომის პრობლემა უფრო ხშირად საშუალო ზომის საწარმოებში დაფიქსირდა (38% იმ საწარმოთაგან, რომლებმაც სცადეს დაფინანსების მოძიება), ხოლო შედარებით ნაკლებად მცირე (29%) და მსხვილ (27%) საწარმოებში.




**გრაფიკი 18:** ფინანსებზე წვდომა[8]

რაც შეეხება ბიზნესის დაფინანსების წყაროებს[9], 2024 წლის III კვარტალში, წინა პერიოდების მსგავსად, კომპანიათა უმეტესობის განცხადებით, ისინი ფინანსდებიან მხოლოდ ადგილობრივი წყაროებიდან. ამასთან იმ კომპანიათა პროცენტული წილი, რომლებიც მხოლოდ უცხოური წყაროებიდან ფინანსდებიან, 2024 წლის III კვარტალში, წინა კვარტალთან შედარებით, 3 პროცენტული პუნქტით შემცირდა და 3% შეადგინა. აღსანიშნავია, რომ საწარმოს ზომის მიხედვით, უცხოური წყაროებიდან უფრო ხშირად საშუალო (6%) და მსხვილი (3%) საწარმოები ფინანსდებიან, ხოლო გამოკითხულ მცირე საწარმოთაგან არც ერთი არ ფინანსდება უცხოური წყაროებიდან.

[8] კითხვას პასუხი გასცა გამოკითხულთა მხოლოდ იმ ნაწილმა, რომელმაც უკანასკნელ პერიოდში სცადა ფინანსების მოძიება.

[9] 2021 წლის I კვარტალში ინდექსის მეთოდოლოგიაში განხორციელებულმა ცვლილებამ (გამოსაკითხი კომპანიების ბაზის გაზრდამ) გავლენა იქონია ბიზნესის დაფინანსების წყაროების სტრუქტურაზე. სხვა მაჩვენებელზე მეთოდოლოგიურ ცვლილებას არსებითი გავლენა არ ჰქონია.




**გრაფიკი 19:** დაფინანსების წყაროები

## მოლოდინი გაცვლითი კურსის შესახებ

2024 წლის III კვარტალში, გამოკითხულ კომპანიათა უმრავლესობა (64%) არ ელის მომავალი 6 თვეში ლარის აშშ დოლართან გაცვლითი კურსის ცვლილებას, იმ კომპანიების წილი კი, რომლებიც გაუფასურებას ელიან 28%-ია, ხოლო მათი ვინც გამყარებას ვარაუდობს - 8%. 2024 წლის II კვარტალთან შედარებით, მნიშვნელოვნად შემცირდა (40 პროცენტული პუნქტით) იმ კომპანიების წილი, რომლებსაც მომდევნო 6 თვეში ლარის აშშ დოლართან გაცვლითი კურსის გაუფასურების მოლოდინი აქვთ. ამასთან, 2024 წლის III კვარტალში, წინა კვარტალთან შედარებით, 41 პროცენტული პუნქტით გაიზარდა იმ კომპანიების წილი, რომლებიც მომდევნო 6 თვეში ეროვნული ვალუტის გაცვლითი კურსის ცვლილებას არ ელიან.




**გრაფიკი 20:** ლარის აშშ დოლართან გაცვლითი კურსის ცვლილების მოლოდინი

## BAG დასაქმების ბარომეტრი

BAG დასაქმების ბარომეტრი ასახავს კომპანიების მოლოდინს მომავალ სამ თვეში დასაქმების სავარაუდო ცვლილების შესახებ.[10]

**2024 წლის III კვარტალში გამოკითხულ კომპანიებს მომავალ სამ თვეში დასაქმების მიმართულებით დადებითი მოლოდინი აქვთ. BAG-ის დასაქმების ბარომეტრმა 28.9 ქულა შეადგინა. აღნიშნული მაჩვენებელი წინა კვარტალთან შედარებით 9.8 ქულით გაუმჯობესდა, თუმცა 2023 წლის III კვარტალთან შედარებით 15.0 ქულით გაუარესდა.**




**გრაფიკი 21:** BAG დასაქმების ბარომეტრი

2024 წლის III კვარტალში დასაქმების ბარომეტრის მაჩვენებელი ყველა სექტორში დადებითია. 2024 წლის III კვარტალში, 2024 წლის II კვარტალთან შედარებით, დასაქმების ბარომეტრის მაჩვენებელი გაუმჯობესდა ვაჭრობის (30.0 ქულით), მრეწველობის (7.5 ქულით) და მომსახურების (1.5 ქულით) სექტორებში, ხოლო გაუარესდა მშენებლობის (11.3 ქულით) სექტორში (იხილეთ გრაფიკი 22).

[10] კომპანიებს შეუძლიათ, დასაქმებულთა რაოდენობის შესახებ არსებული მომდევნო სამი თვის გეგმები აღწერონ, როგორც ,,მზარდი'', ,,სტაბილური'' ან ,,კლებადი''. ამ გეგმების საბალანსო მნიშვნელობა გამოითვლება პასუხების - ,,მზარდი''-სა და ,,კლებადი''-ს პროცენტულ წილებს შორის სხვაობით. BAG დასაქმების ბარომეტრი არის სექტორების საბალანსო მნიშვნელობების შეწონილი საშუალო. BAG დასაქმების ბარომეტრის მნიშვნელობა შესაძლოა იყოს -100–დან +100–მდე. -100 ნიშნავს, რომ ყველა გამოკითხული ბიზნესი მომდევნო სამი თვის განმავლობაში მოელის დასაქმებულთა რაოდენობის შემცირებას, ხოლო +100 ნიშნავს, რომ ყველა გამოკითხული ბიზნესი მომდევნო სამი თვის განმავლობაში მოელის დასაქმებულთა რაოდენობის ზრდას.

**ცხრილი 2:** დასაქმების ბარომეტრი. საბალანსო მნიშვნელობები სექტორის მიხედვით

| სექტორი | IV კვ. 2019 | I კვ. 2020 | II კვ. 2020 | III კვ. 2020 | IV კვ. 2020 | I კვ. 2021 | II კვ. 2021 | III კვ. 2021 | IV კვ. 2021 | I კვ. 2022 | II კვ. 2022 | III კვ. 2022 | IV კვ. 2022 | I კვ. 2023 | II კვ. 2023 | III კვ. 2023 | IV კვ. 2023 | I კვ. 2024 | II კვ. 2024 | III კვ. 2024 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ვაჭრობა | 33.3 | -45.0 | 5.6 | 12.5 | -23.5 | 2.8 | 18.2 | 21.6 | 25.0 | 32.4 | 34.3 | 26.8 | 22.6 | 33.3 | 41.0 | 44.7 | 30.6 | 45.5 | 9.4 | **39.4** |
| მომსახურება | 14.6 | -41.7 | 0.0 | -5.0 | -8.0 | 17.6 | 34.8 | -2.3 | 11.1 | 15.6 | 19.6 | 25.6 | 26.2 | 27.9 | 31.0 | 35.9 | 20.0 | 38.9 | 20.5 | **22.0** |
| მრეწველობა | 11.1 | -25.0 | 0.0 | 16.7 | 20.0 | 17.6 | 33.3 | 21.4 | 21.4 | 29.4 | 40.0 | 20.0 | 23.1 | 25.0 | 45.5 | 50.0 | 50.0 | 28.6 | 12.5 | **20.0** |
| მშენებლობა | 50.0 | -80.0 | -28.6 | 14.3 | -33.3 | 30.8 | 12.5 | 27.3 | 50.0 | 37.5 | 27.3 | 50.0 | 63.6 | 68.8 | 81.8 | 63.6 | 40.0 | 70.0 | 47.1 | **35.7** |
| BAG | 26.1 | -46.7 | -2.8 | 6.2 | -13.7 | 14.7 | 27.4 | 11.7 | 20.5 | 24.9 | 27.7 | 28.1 | 29.1 | 34.0 | 41.9 | 43.9 | 29.2 | 43.3 | 19.1 | **28.9** |




**გრაფიკი 22:** BAG დასაქმების ბარომეტრი სექტორების მიხედვით

დასაქმებულთა რაოდენობასთან ერთად, მნიშვნელოვანია, გავაანალიზოთ კომპანიებში დასაქმებულთა ანაზღაურების დინამიკაც. გამოკითხვის შედეგების მიხედვით, 2024 წლის III კვარტალში კომპანიათა 25%-მა გაზარდა დასაქმებულთა ხელფასები, რაც ჩამორჩება როგორც წინა კვარტლის, ასევე წინა წლის შესაბამისი კვარტლის მაჩვენებელს (იხილეთ გრაფიკი 23).




**გრაფიკი 23:** დასაქმებულთა ანაზღაურება

სექტორების მიხედვით, 2024 წლის III კვარტალში, კომპანიათა ყველაზე დიდმა ნაწილმა მშენებლობის სექტორში (36%) დააფიქსირა დასაქმებულთა ანაზღაურების ზრდა. 2024 წლის IV კვარტალში დასაქმებულთა ანაზღაურების ზრდას კომპანიათა ყველაზე დიდი წილი ვაჭრობის სექტორში (39%) გეგმავს (იხილეთ გრაფიკი 24).




**გრაფიკი 24:** დასაქმებულთა ანაზღაურება ვაჭრობის, მომსახურების, მრეწველობის და მშენებლობის სექტორებში

გამოკითხულ კომპანიათა შორის, ვინც 2024 წლის III კვარტალში თანამშრომელთა ხელფასების ზრდა დააფიქსირა, უმრავლესობამ (92%) დასაქმებულთა ანაზღაურება 0-20%-ით გაზარდა, ხოლო დანარჩენმა კომპანიებმა (8%) დასაქმებულთა ანაზღაურება 21-40%-ით გაზარდეს.




**გრაფიკი 25:** დასაქმებულთა ანაზღაურების % ზრდა

# BAG ინვესტიციების კვლევა

ინვესტიციების კვლევის ფარგლებში, რომელიც ტარდება წელიწადში ორჯერ, პიემსი კვლევითი ცენტრი აგროვებს მონაცემებს ინვესტიციების ტენდენციების შესახებ. აღნიშნული კვლევისთვის გამოკითხული კომპანიები იყოფა ოთხ სექტორად (როგორც, BAG ბიზნეს კლიმატის შემთხვევაში): ვაჭრობა, მომსახურება, მრეწველობა და მშენებლობა. 2024 წლის მესამე კვარტალში ჩატარებულ-მა კვლევამ შეაჯამა BAG-ის წევრებისა და მათ ჯგუფში შემავალი კომპანიების მიერ 2023 წელს განხორციელებული ინვესტიციები და მათი გეგმები 2024 წლისთვის.

## საინვესტიციო გარემო 2023 წელს

მთლიანობაში, გამოკითხული კომპანიების 60%–მა განაცხადა, რომ 2023 წელს, 2022 წელთან შედარებით, მათ მიერ განხორციელებული ჯამური ინვესტიციების მოცულობა გაიზარდა. ამასთან, გამოკითხული კომპანიების 34%-მა განაცხადა, რომ აღნიშნულ პერიოდში მათ მიერ განხორციელებული ჯამური ინვესტიციების მოცულობა უცვლელი დარჩა, ხოლო დანარჩენი 6%-ისთვის შემცირდა.




**გრაფიკი 26:** საინვესტიციო გარემო 2023 წელს

აღსანიშნავია, რომ ვაჭრობის სექტორში კომპანიათა 64%-ის განცხადებით, 2023 წელს, 2022 წელთან შედარებით, ჯამური ინვესტიციები გაიზარდა. მომსახურების სექტორში მოცემულ პერიოდ-ში ჯამური ინვესტიციების ზრდა კომპანიათა 63%-მა დააფიქსირა, მრეწველობის სექტორიში 58%-მა, ხოლო მშენებლობის სექტორში - 57%-მა.

რაც შეეხება ინვესტიციების შემცირებას, მრეწველობის სექტორში კომპანიების 17%-მა დააფიქსირა 2023 წელს, 2022 წელთან შედარებით, ჯამური ინვესტიციების შემცირება. მშენებლობის სექტორში ჯამური ინვესტიციების კლება 7%-მა დააფიქსირა, ხოლო მომსახურებისა და ვაჭრობის სექტორში 3%-მა. (დეტალური ინფორმაციისთვის იხილეთ გრაფიკები 28, 29, 30 და 31).

აღსანიშნავია, რომ 2023 წელს, კომპანიების უმეტესობამ გაზარდა ინვესტიციები მანქანა-დანადგარებსა და აღჭურვილობაში (56%). ინვესტიციების ზრდა შედარებით ნაკლებად პროგრამული უზრუნველყოფის/მონაცემთა ბაზებსა (54%) და შენობა-ნაგებობებში (48%) განხორციელდა.

სექტორების მიხედვით, სამივე მიმართულებით, პროცენტულად ყველაზე მნიშვნელოვანი ზრდა მშენებლობის სექტორში დაფიქსირდა, კერძოდ, 73% მანქანა-დანადგარებში, 67% პროგრამულ უზრუნველყოფაში/მონაცემთა ბაზებში, ხოლო 58% შენობა-ნაგებობებში.

## საინვესტიციო გეგმები 2024 წელს

2024 წლის საინვესტიციო გეგმის შესაფასებლად 2024 წლის I კვარტალში ჩატარდა ინვესტიციების კვლევა, ხოლო 2024 წლის III კვარტალში მოხდა ამ პროგნოზის განახლება.

2024 წლის III კვარტალში გამოკითხული კომპანიების 58%-მა განაცხადა, რომ 2024 წელს, 2023 წელთან შედარებით, მათ მიერ ჯამურად განხორციელებული ინვესტიციების მოცულობა გაიზრდება. ამავდროულად, გამოკითხული კომპანიების 35% ჯამურად განხორციელებულ ინვესტიციებში ცვლილებას არ მოელის, ხოლო 7% მოელის ინვესტიციების კლებას.

აღსანიშნავია, რომ 2024 წლის III კვარტალში, 2024 წლის I კვარტალთან შედარებით, გაუარესებულია საინვესტიციო პროგნოზები 2024 წლისთვის, კერძოდ, ნაცვლად კომპანიების 65%-ისა, რომლებიც გეგმავდა ინვესტიციების ზრდას 2024-ში, ახლა მხოლოდ 58% გეგმავს ინვესტიციების გაზრდას. სექტორების მიხედვით, ინვესტიციების პროგნოზი ყველაზე მეტად (33 პროცენტული პუნქტით) მშენებლობის სექტორში შემცირდა, კერძოდ, 2024 წლის I კვარტალში კომპანიათა 90% თვლიდა, რომ 2024-ში გაიზრდებოდა მათი ინვესტიციები, ხოლო III კვარტალში მხოლოდ 57%.




**გრაფიკი 27:** კომპანიების 2024 წლის საინვესტიციო გეგმები

სექტორებს შორის, ყველაზე ოპტიმისტური მოლოდინი 2024 წელს ინვესტიციების განხორციელებასთან დაკავშირებით ვაჭრობის სექტორში ფიქსირდება. ვაჭრობის სექტორში გამოკითხულ კომპანიათა 63% გეგმავს ჯამური ინვესტიციების ზრდას. მომსახურებისა და მრეწველობის სექტორებში იგივე მოლოდინი გამოკითხულ კომპანიათა 58%-ს აქვს, ხოლო მშენებლობის სექტორებში 57%-ს.

2024 წელს ინვესტიციების ზრდასთან დაკავშირებით, დადებითი პროგნოზები უფრო მეტად დაფიქსირდა აღჭურვილობის მიმართულებით, ხოლო შედარებით ნაკლები პროგრამული უზრუნველყოფის/მონაცემთა ბაზებისა და შენობა-ნაგებობების მიმართულებით. გამოკითხულთა 58% მოელის, რომ 2024 წელს მათი ინვესტიციები გაიზრდება აღჭურვილობის მიმართულებით. მსგავსი მოლოდინი პროგრამული უზრუნველყოფის/მონაცემთა ბაზების  მიმართულებით 54%-ს აქვს, ხოლო გამოკითხულთა 45% ფიქრობს, რომ 2024 წელს მათ მიერ განხორციელებული ინვესტიციები გაიზრდება შენობა-ნაგებობებში.

აღსანიშნავია, რომ სექტორების მიხედვით, აღჭურვილობის მიმართულებით ყველაზე დადებითი პროგნოზი ფიქსირდება მრეწველობის სექტორში. კერძოდ, მრეწველობის სექტორში გამოკითხულ კომპანიათა 75% აპირებს გაზარდოს ინვესტიციები აღნიშნული მიმართულებით. რაც შეეხება პროგრამულ უზრუნველყოფას/მონაცემთა ბაზებს, ამ მიმართულებით ყველაზე დადებითი მოლოდინი მომსახურების სექტორში ფიქსირდება, სადაც გამოკითხულთა 67% მოელის ინვესტიციების ზრდას. სექტორებს შორის, მშენებლობისა და მომსახურების სექტორებში ფიქსირდება ყველაზე პოზიტიური მოლოდინი შენობა-ნაგებობებში ინვესტიციების ზრდის მიმართულებით (50%).




**გრაფიკი 28:** საინვესტიციო გარემო 2022 და 2023 წლებში და საინვესტიციო გეგმები 2024 წელს ვაჭრობის სექტორში (ცვლილება წინა წელთან შედარებით)[11]




**გრაფიკი 29:** საინვესტიციო გარემო 2022 და 2023 წლებში და საინვესტიციო გეგმები 2024 წელს მომსახურების სექტორში (ცვლილება წინა წელთან შედარებით)

[11] დამრგვალების გამო ანგარიშში მოცემულ ზოგიერთ გრაფიკზე მონაცემთა ჯამი ზუსტად 100%-ის ტოლი არ არის.

* მოლოდინი




**გრაფიკი 30:** საინვესტიციო გარემო 2022 და 2023 წლებში და საინვესტიციო გეგმები 2024 წელს მრეწველობის სექტორში (ცვლილება წინა წელთან შედარებით)




**გრაფიკი 31:** საინვესტიციო გარემო 2022 და 2023 წლებში და საინვესტიციო გეგმები 2024 წელს მშენებლობის სექტორში (ცვლილება წინა წელთან შედარებით)

## კონტაქტი:

გ. ლეონიძის ქ. 2, თბილისი, საქართველო

+995 32 2 202-215

info@bag.ge

Business Association of Georgia

**www.bag.ge**